საქართველოს რესპუბლიკა

ფელიეტონი პირველი

ფასი 40 კაპ.

საქართველოს მთავრობის მოამბე

ყოველდღიური გაზეთი

№ 13 ბარასკევი, 9 აგვისტო 1918 წ. № 13

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ ნომერში ეძვსი გვერდია

მთავრობის მოამბე ყოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)

„საქართველოს რესპუბლიკა“

ღირს ერთი თვით **10** მ., ცალკე ნომერი ყველგან **40** კაპ.

სავალდებულო განცხადებანი დადგენილი ნიხრით, კერძო განცხადებანი შეთანხმებით.

გაზეთზე ხელის მოწერა მიიღება დილის **10—3** საათამდე.

(ბარონის ქუჩა № 6, ტელეფონი—I—82.

ფინანსთა სამინისტროს კანცელარია

წინადადებას აძლევს ყველა საკრედიტო დაწესებულებათ (საქციონერო ბანკები, როგორც ადგილობრივი, ისე რუსეთის, «ბანკირების» კონტორები, საურთიერთო ნდობის საზოგადოებები, ქალაქის საზოგადო ბანკები, საკრედიტო და შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობები, ლომბარდები და სხვ), რომელნიც იმეოფებიან საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებში, ორი კვირის ვადაში წარმოადგინონ ფინანსთა სამინისტროს საკრედიტო განყოფილებაში თავიანთი წესდებები და მისამართი, აგრეთვე წარმოდგენილი უნდა იქმნას ყოველ თვიურად ბალანსი, დაწყებული ამა წლის 1 ივნისიდან.

კანცელარიის დირექტორის თანამდებობის დროებითი ამსრულებელი დ. ა ფ ხ ა ზ ი.

29 ივლისი, 1917 წ. № 950/234.

მიხეილის საადგილმამულო ბანკის გამგეობა

აცხადებს, რომ 20 აგვისტოს 1918 წ. დღით, **12** საათზე, ქ. ქუთაისში, ბანკის შენობაში, მოსდება ვაჭრობა ბანკის მამულისა, ეიგზ-ბაბასხეულისა, მდებარე ქ. თბილისში, მალაკანის ქუჩაზე, რომელიც შეიცავს ერთ ნაჭერ ადგილს, ზომით **312** ოთხკუთხა საჟ. შენობებით. მსურველმა ვაჭრობაში მონაწილეობის მიღებისა უნდა წარმოადგინოს ბეთ სუთი ათასი მანეთი. ცნობა მსურველთა შეუძლიანთ მოითხოვონ გამგეობაში.

გამგეობის თავმჯდომარის მაგიერ **ალ. ლორთქიფანიძე.**

დირექტორი **ი. ფანცხავა.**

2—2 მდივანი **ჯ. ძოლდავა.**

რადგანაც გაზაფხზე გასასყიდად გამოჩნდა „დ. ზ. სარაჯიშვილის“ ყალბი „ეტიკეტით“

ბოთლებში ჩამოსხმული მიიგზავნებული კონიაკი, ფირმის გამეგობა კონიაკის ხარისხის გამო პასუხს არ აგებს თუ ის ნაუადი არ იქნება მის ქარხანაში (ოლდას ქუჩა, № 30).

ოფიციალური განყოფილება

ბრძანება

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობისა შინაგან საქმეთა სამინისტროსადმი.

აგვისტოს 6-ს 1918 წ. ქ. თბილისი.

№ 220.

დათხოვნილია: შინაგან საქმეთა სამინისტროს კანცელარიასთან არსებულ გამმეჯნავ განყოფილების მხაზავი (чертежникъ Межевого Отдѣла) მ ი ხ ე ი ლ ხ ა რ ა ძ ო ვ ი, თანახმად მისივე თხოვნისა, როგორც თანამდებობიდან, ისე სამსახურიდან.

ხელს აწერს შინაგან საქმეთა მინისტრის მაგიერ მისი ამხანაგი: კ. ს ა ბ ა ხ ტ ა რ ა შ ვ ი ლ ი.

დედანთან სწორეა: განყოფილების უფროსი გ. თ უ ლ ა შ ვ ი ლ ი.

ბრძანება

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობისა შინაგან საქმეთა სამინისტროსადმი.

აგვისტოს 6-ს 1918 წ. ქ. თბილისი.

№ 221.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 13 ივლისის დადგენილების გამო გაზეთ „კავკაზის“ შემდეგში გამოცემის შეწყვეტის შესახებ, თანახმათ ამა წლის 5 ივლისის კანონისა, შტატს გარეშე რჩებიან ამავე წლის 25 ივლისიდან ზემოაღნიშნულ გაზეთის რედაქციის და კანტორის შემდეგი მოსამსახურენი: რედაქტორი პ. ი. ქავთარაძე, მდივანი ი. ი. რადიკე, ქრონიკიორი ვ. პ. მელნიკოვი, კანცელარიის გამგე: გ. ა. ხარატიანცი, უფროსი თანაშემწე კანცელარიის გამგისა გ. ა. მაზურიკი, უმცროსი თანაშემწე კანცელარიის გამგისა მ. კ. ეკეესკი, კორექტორები: მ. ლ. კორნელიშენი და ლ. ლ. ბოტტო და მსახურნი ნ. ლ. ისაკლოვი და კ. ი. იკეესკი.

ხელს აწერს შინაგან საქმეთა მინისტრის მაგიერ მის ამხანაგი: კ. ს ა ბ ა ხ ტ ა რ ა შ ვ ი ლ ი

დედანთან სწორეა: განყოფილების უფროსი გ. თ უ ლ ა შ ვ ი ლ ი.

ბრძანება

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მთავრობისა მიწათ მოქმედების სამინისტროს უწყებისა.

31 ივლისი, 1918 წ. ქ. თბილისი.

№ 3.

ი ნ ი შ ნ ე ბ ა: კავკასიაში წყლის სამმართველოს საქმეთა დროებით კომისიის თავმჯდომარე ინჟენერი მამრაძე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წყლების ინსპექტორად ამა წლის 1 აგვისტოდან.

მთავრობის თავმჯდომარის თანამდებობის აღმასრულებელი ნ. რ ა მ ი შ ვ ი ლ ი.

დამტკიცეა მიწათ მოქმედების მინისტრმა ხ ო მ ე რ ი კ ი ა.

3 აგვისტო, 1918 წ. ქ. თბილისი.

№ 23.

დ ა თ ხ ო ვ ნ ი ლ ი ა თანამდებობიდან და სრულიად სამსახურიდან: ცენტრალურ საადგილ-მამულო მმართველობის თავმჯდომარე ა. ს. ფირალოვი თანახმად მისი თხოვნისა 1 აგვისტოდან 1918 წ.

მიწათ მოქმედების მინისტრი ხ ო მ ე რ ი კ ი.

3 აგვისტო, 1918 წ. ქ. თბილისი,

№ 25.

ი ნ ი შ ნ ე ბ ა: ცენტრალურ საადგილ-მამულო მმართველობის საიალაო გადასახადების განყოფილების გამგეთ მ. ა. სკიბიკი 1 აგვისტოდან 1918 წ.

მიწათ მოქმედების მინისტრის მაგიერ პ. გ ე ლ ე ი შ ვ ი ლ ი.

ბრძანება

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მთავრობის ფინანსთა და ვაჭრობა მრეწველობის სამინისტროსადმი.

6 აგვისტო, 1918 წ. ქ. თბილისი,

№ 24.

ი ნ ი შ ნ ე ბ ა: ინჟენერი ილია ივანეს ძე მაჩაბელი საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის ბონების მოსამზადებელ ექსპედიციის გამგის თანაშემწეთ 20-ს ივლის 1918 წ.

ფინანსთა და ვაჭრობა მრეწველობის მინისტრი ხელს აწერს ე ლ ო ო ბ ლ ი.

სწორია: საერთო განყოფილების გამგე ზ. მ ა ჩ ა ბ ე ლ ი.

ბრძანება

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრისა.

ი ნ ი შ ნ ე ბ ა: ირაკლი დიმიტრის ძე ტატიშვილი საგარეო საქმეთა სამინისტროს კანცელარიის დირექტორის თანამდებობის დროებით აღმასრულებლად მარიამობის თვიდგან 1918 წ.

მინისტრის ამხანაგი კ. გ ვ ა რ ჯ ა ლ ა ძ ე.

ბრძანება

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მთავრობისა მიწათ მოქმედების სამინისტროს უწყებას.

3 აგვისტო, 1918 წ. ქ. თბილისი,

№ 24.

ი ნ ი შ ნ ე ბ ი ა ნ: ა. ხ. როლოვი-ცენტრალურ საადგილ-მამულო მმართველობის დროებით თავმჯდომარედ. ა. კ. კორინთელი და დ. გ. ჩადუნელი—ამავე მმართველობის წევრებად, უკანასკნელი აგრარულ რეფორმების განყოფილების გამგეთ. პროფესორი ს. გ. ქურდიანი—ცენტრალურ საადგილ-მამულო მმართველობის სატყეო განყოფილების გამგეთ. ნ. გ. მეეღლოვი—ამავე მმართველობის სატყეო განყოფილების გამგის თანაშემწედ. აგრონომი ა. პ. კიზირია—სახელმწიფომამულების მმართველად. აგრონომი ე. გ. რამაშვილი და ა. ა. ეგოროვი—სახელმწიფო მამულების მართვის სპეციალისტებად. ყველა I აგვისტოდან 1918 წ.

მიწათ მოქმედების მინისტრი ხ ო მ ე რ ი კ ი.

სასურსათო საქმის სამინისტროს განკარგულება.

ვინაიდან სასურსათო საქმეთა სამინისტრომ საქართველოს მცხოვრებთათვის წლიურათ საპირო მარილის შეძენის შესახებ ხელშეკრულება დასდო, მისი შეძენა-შემოტანა კერძო პირთა და დაწესებულებათაგან აკრძალულია. ფოთში შემოტანილ მარილს, ვისაც უნდა იყოს, რეკვიზიცია დაედება სასურსათო სამინისტროს მიერ დაწესებულ ფასებში 15 პროც. შეღავათით, ე. ი 6 მან. 4 აბაზათ ფუთი ფრანგ ფოთი-პორტი ვაგონი, ამ ფასში შედის ფოთის პოსტის ასადები გადასახადებიც.

განაწილება მარილისა მეხოვრებთა შორის დავალებული აქვს ამიერ-კავკასიის კოოპერატივთა კავშირს, გარდა ქალაქ თბილისისა და ქუთაისისა, სადაც ქალაქის თვითმმართველობის სასურსათო განყოფილებები დაანაწილებენ.

არა ოფიციალური განყოფილება

თბილისი, 9 აგვისტო.

დღეს ბრალიანი და უბრალო ვითომ ინტერნაციონალიზმის და დემოკრატიზმის სახარებას უკითხავს საქართველოს რესპუბლიკას და მის მთავრობას.

გამოდის ვითომ ყველა იცავს დემოკრატიზმს, ხოლო ეწინააღმდეგება და არღვევს ჩვენი რესპუბლიკანური მთავრობა. ნამდვილათ, როგორც ყოველ დღე ვაჩვენავებთ, მართალია სულ წინააღმდეგი დებულება.

ნაციონალისტები და კონტრ-რევოლიუციონერები ქვეყნის თვალის ასახვევად „ინტერნაციონალისტურ-დემოკრატიულ“ ნიღაბს იფარებენ და თავის ქვენა მიზნების განსამართლებლად ილაშქრებენ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის წინააღმდეგ. გაწვრთნილი ბოროტმოქმედივით თავის დანაშაულს სხვებს აბრალებენ, თავის რეაქციონურ და ანტიდემოკრატიულ სულთასწრაფვას სხვას ახვევენ თავზე და ამნაირად ცდილობენ იოლად გაიტანონ ლელო რესპუბლიკის და თავისუფლების დარღვევის საქმეში.

ასე მოქმედებენ ნაციონალისტები და რეაქციონერები, რომელნიც ძირს უთხრიან ჩვენს სახელმწიფოს და არც ფიქრობენ მისი უფლებამოსილება იცნონ ან საქართველოს მოქალაქეობა მიიღონ.

მაგრამ, სამწუხაროთ, ასე ლაპარაკობენ ისინიც, ვისაც სულ რამოდენიმეჯერ მაინც ეწამოსცდა მართალი სიტყვა ჩვენი სახელმწიფოს სასარგებლოთ და ვინც „საქართველოს რესპუბლიკის თავისუფალ, თანასწორუფლებიან მოქალაქედ და ნამდვილ სოციალისტად“ სთვლის თავს. (იხ. პრესის მიმოხილვა) ესენი არიან დაშნაკცუთუნის აქაური მემარცხენე ელემენტები, რომელთაც გაზეთ „აზხატავორში“ მოუყრიათ თავი და საქართველოს რესპუბლიკის ჭკუის სასწავლებლათ ქადაგება-დარიგების ტონი შეუთვისებიათ.

სასიამოვნოა, რომ საქართველოს თავისუფალ და თანასწორუფლებიან სომეხ მოქალაქეებთან გვიხდება ლაპარაკი, თვით საქართველოს რესპუბლიკის ჭირვარამზე. მაგრამ „ნამდვილი სოციალისტობა“ ნებას არავის უნდა აძლევდეს სადაც თეორია შავი დაინახოს და ამოიკითხოს ის, რაც არავის მოფიქრებია და არავის დაუწერია,

ჩვენ არ ვიცით სად ხედავენ ნაციონალიზმის სახიფათო პოლიტიკას ჩვენი რესპუბლიკის მოქმედებაში.

პროვაკატორ—სპეკულიანტებთან და ყაჩაღთა ბრბოებთან ბრძოლა, მოქმედ კონტრრევოლიუციონერთა გაფანტვა და შეთქმულების ქსელების დაგლეჯა, ეს ხომ რესპუბლიკის მთავრობის სამღვთო მოვალეობაა. და ვინ უნდა იყოს ისეთი ბრიყვი და გაუვებარი, რომ რესპუბლიკის თავდასხმისაგან დამცველი და უშინდუბრებისაგან გამწესებული მოქმედებაში ნაციონალიზმის საშიშარი პოლიტიკა დაინახოს!.

საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა და დემოკრატიულ სახელმწიფოებრივობის შენებას შეუდგა. ეს იყო საქართველოს დემოკრატიის მტკიცე და გაფოლადებული გადაწყვეტილება, ნაკარნახევი რევოლიუციის, სამშობლოს და თავისუფლების ინტერესებით.

ხოლო რაკი საქართველომ თავი სახელმწიფოდ გამოაცხადა, აშკარაა ის თავის ტერიტორიაზე სხვა უცხო სახელმწიფოებრივობას და მის ელემენტებს ვერ აიტანდა, სხვა უცხო მთავრობათ და მათი აგენტების მტრულ მოქმედებას ვეღარ შეურიგდებოდა.

ეს უბრალო ამოსაღებია სახელმწიფო უფლების მეცნიერების, ეს ელემენტარული წესია სახელმწიფოებრივი არხიტექტურის. და ვერ გაგვიგია, რატომ მაშინ აგინწყდებათ ყველაფერი ჩვენს მოწინააღმდეგეებს, როცა საქართველოს რესუბლიკაზე ჩამოგდებენ ხოლმე ლაპარაკს.

რაკი საქართველო რესპუბლიკანური სახელმწიფოა, ცხადია ამ სახელმწიფოს ყველა დაწესებულება და ადმინისტრატიული აპარატი რესპუბლიკანურათ უნდა გადახალისდეს და საქართველოს ინტერესების და ხალხის სახელმწიფოებრივ ნების თანახმად უნდა ამუშავდეს. ეს არის უფლების და სამართლიანობის მოთხოვნილება, ამავე დროს ეს არის დემოკრატიზმის აბნანი და ხალხის სუვერენიტეტის და ინტერესების აღიარება. ღვთის გულისათვის გვითხრან, რატომ მაშინ გვევლინებიან უმეცრების როლში, როცა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას ეომებიან და საქართველოს ხალხის სუვერენულ უფლების გაბათილებას ცდილობენ!

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში ჩვენ პრინციპიალურათ ვერ დავუშვებთ რუსული ენის და რუსული შავრაზმელი ჩინოვნიკობის ბატონობას, საქართველოს სახელმწიფოში შეუწყნარებელია პრინციპიალურად რუსულ სახელმწიფოებრივ დაწესებულებათა არსებობა და მოქმედება. ეს არის არა ნაციონალიზმის პოლიტიკა, როგორც ეჩვენებათ ზოგიერთ ჩვენს პატივცემულ თანამოქალაქეთ, არამედ ნაციონალიზმისაგან თავის დახსნის და განთავისუფლების პოლიტიკა. ეს არ იცის მხოლოდ იმან, ვინც უცოდინარობის თუ ინტერესის გამო რუსულ ენას და კონტრ-რევოლიუციურ მოხელეს ინტერნაციონალიზმის მაჩვენებლად და დემოკრატიზმის მოციქულად სთვლის. როდემდის გაგრძელდება ეს გაუგებრობა?

საქართველოს რესპუბლიკას იმაშიაც სდებენ ბრალს, რომ ისეთივე პატივს არ სცემს უმცირესობათა უფლებებს. ეს უდიდესი ცილისწამებაა. საქართველო ჯველაზეც ტომთა და ერთა თანასწორობის ქვეყანაა იყო და ახლა ხომ ლაპარაკიც მეტია იმაზე, რომ იგი უაღრესად დემოკრატიული და საიდეალო მხარეა სხვა ერის წარმომადგენელთა პატივის ცემაში და თანასწორობის საკითხში. ჩვენ მხოლოდ თავისუფლების და რესპუბლიკის მოსისხლე მტრებს ვერ ვეგუებით. მეფეების დროინდელი საქართველო თუ გამოდიოდა ყველა მცხოვრების მფარველად, ახალი დემოკრატიული საქართველო ხომ თავის სისხლით ამტკიცებს, რომ მას უნდა ყოველნაირათ თავისუფალი და დამოუკიდებელი რესპუბლიკა, სადაც ის „თანასწორათ უზრუნველყოფს ყველა მოქალაქის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს განურჩეველად ეროვნებისა, სარწმუნოებისა, სოციალურ მდგომარეობისა და სქესისა“. და სადაც „განვითარდნი თავისუფალი ასპარეზი გაეხსნება მის ტერიტორიაზე მოსახლე ყველა ერს“. (დამოუკიდებლობის აქტი).

როგორც იცით, დამფუძნებელი კრების მოწვევამდის საქართველოს საქმეებს უძღვება დროებითი პარლამენტი—ეროვნული საბჭო, რომელიც შევსებული იქნება ეროვნულ უმცროსებთა წარმომადგენლობით. ახლო მომავალში კი საერთო დემოკრატიული წესით იქნება მოწვეული საქართველოს დამფუძნებელი კრება, რომელიც შექმნის მუდმივ სახელმწიფოებრივ ორგანოებს.

ამ უმცირესობათა წარმომადგენლობის საკითხი უკვე გადაწყვეტილია სათანადო დადგენილების მიღებით და დღეს იქნება თუ ხვალ საქართველოს საბჭოში ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლობის ხმა გაისმება. და, დარწმუნებული ვართ, ეს ხმა იქნება სახელმწიფოებრივი ხმა ჩვენი რესპუბლიკის განსამტკიცებლად და საერთო დემოკრატიულ სამშობლოს ასაყვავებლათ და საკეთილდღეოთ.

საქართველოს ეროვნული საბჭო

მკათათვის 26 საღამოს სხდომა

გაგრძელება *)

ფაჩუაშვილი (ს.-რევ.). შინაგან საქმეთა მინისტრს ეს საკითხი მიაჩნია კერძო და პატარა საკითხად. მე ამ საკითხს ასე არ უყურებ და ნება მიბოძეთ ერთხელ კიდევ შევაჩერო თქვენი ყურადღება უმთავრეს დებულებაზე. ჩვენ დღეს სახელმძღვანელოდ უნდა გვქონდეს უმთავრესად რევოლიუციონური კანონმდებლობა. სწორედ რევოლიუციონურ კანონებიდან უნდა გამოვდიოდეთ და არა სხვა რომელიმე კანონიდან. თუ ჩვენ მივიღებთ მხედველობაში რევოლიუციის კანონებს მაშინ ხალხს უფლება უზრუნველ-ყოფილ უნდა იყოს. აქ შინაგან საქმეთა მინისტრმა ბრძანა, რომ დღეევანდელ პირობებში სოფლის ასე თავისუფლად დატოვება საშიშროებას წარმოადგენს ამ მხრივ, რომ შეიძლება სოფელები ბალშევიკებს მიეხრნენო. მაგრამ სად არის ამის გარანტია, რომ ასევე არ იქნება შემდეგშიაც! განა ნ მილიონერი რასმე შესძლებს? სოფლად მშვიდობიანობა იქნება მაშინ, როდესაც ანარქია მოისპობა. ანარქიის მოსასპობად კი საჭიროა რომ მას ნიადაგი გამოვაცალოთ. ბალშევიზმს სოფლად ჩვენ ნიადაგს მოუსპობთ არა შეზღუდვით, არამედ ფართე დემოკრატიულ კანონმდებლობით. წინანდელი წესი უარსაყოფია. საჭიროა ჯერ რეფორმები და შემდეგ დამშვიდება ხალხისა. შინაგან საქმეთა მინისტრმა ბრძანა, რომ ჩვენ განსაკუთრებულ პირობებში ვიხოვრობთ და ასეთი კანონ-პროექტის შემოტანა აუცილებელი არისო. კანონ-პროექტში არ სწერია რომ იგი დროებითია. დაწყნარების შემდეგ ხალხს შეუძლიათ თვითონ დანიშნოს ”ახალი კომისარი.

სწორედ იმ მოსაზრებით, ”რომ ხალხის მაგნე ელემენტებმა კვლავ არ აწარმოონ ისეთი დემაგოგია, როგორსაც აქამდის აწარმოობდნენ. რომ არ ჰქონდეთ ამის ნიადაგი, ჩვენ ხალხს უნდა მივცეთ საშუალება რომ თვით ირჩევდეს ადმინისტრაციის წევრებს.

შინაგან საქმეთა მინისტრმა ბრძანა თუ მაზრის ან და გუბერნიის კომისრის მიერ დანიშნულმა სოფლის კომისარმა ჩაიდინა რაღა ბოროტმოქმედება, ეროვნულ საბჭოს წევრებს უფლება აქვთ შემდეგ შეკითხვა შემოიტანონ; თითქმის ყველა კანონ-პროექტი ისე უნდა იყოს დაწერილი, რომ შემდეგ უსათუოდ შეკითხვა უნდა მოჰყვეს. საჭიროა ისე დავაყენოთ საქმე, რომ შემდეგ შეკითხვა არა იყოს საჭირო.

ბალტარეთ სასწრაფოდ მიწის საკითხი, რომ ხალხმა იგრძნოს მთავრობის არსებობა. მას დღეს ყველაფერი ეშვი ეცდობა. მიწის საკითხის სასურველად გადაჭრის შემდეგ ნიადაგი არ იქნებათ არც ბალშევიკებს და არც ხულიგანებს, ჯაშუშებს. და ჩვენი ქეყანის დამღუპველ ელემენტებს.

ხალხის შეგნებული ნაწილი უკვე ჰხედავს ყველაფერს ნათლად. ჩვენ არ უნდა მოვიქცეთ ისე რომ აკადეკვეთთ ეს შეგნებული ნაწილიც. აუცილებელია საჭიროა, რომ არჩევნების წესი, ეს ყოველად ეზრალი ანბანური დემოკრატიული პრინციპი დაცული იქნეს სოფლად. ჩვენი ხალხი ამას შეეჩვია, ეს შეითვისა და არც ასე იოლად გაუშვებს ამ უფლებას ხელიდან. ეროვნულმა საბჭომ კი უნდა გაუწიოს ანგარიში ხალხის სურვილებს. კომისარს უნდა ირჩევდეს ხალხი. თუ კი ჩვენ ამ ზუხლს მივიღებთ, ჩვენ სამ კანდიდატის შორის ქიშპობის მეტს ვერას დავთესავთ. ამასთან კვლავ მოქმედებაში იქნება ქრთამი.

მე მგონია, რომ ჩვენს სოფელში ასეთი ტრადიციების მოსპობა სასურველი იქნებოდა. ჩემის აზრით ეს მეექვსე მუხლი უნდა იქმნეს უარყოფილი. მე არ მესმის სადღა არის სუვერენიტეტი ხალხისა, თუ არჩევნების უფლებას წვართმევენ თუ ხალხს სოფლის საზოგადოების კომისრის არჩევაც არ შეეძლება.

ი ო. წ ე რ ე თ ე ლ ი. ბატონებო! ამ ერთ კითხვას ორ მხრივ ეხვიბიან.

ის უთანხმოება, რომელიც არსებობს საბჭოს წევრის ფაჩუაშვილის და შინაგან საქმეთა მინისტრის შორის არის უთანხმობა პრინციპიალური.

შინაგან საქმეთა მინისტრმა დაგიხატათ ის მდგომარეობა, რომელშიაც ჩვენ ვიმყოფებით. ჩვენ ვიცავთ რევოლიუციას. ამაში ჩვენთან არიან ყველაზე უფრო შეგნებული ნაწილები. ამ დროს ჩვენი რევოლიუციის და დემოკრატიულ მთავრობის მტრები სარგებლობენ ხალხის შეუგნებელ ნაწილით, აჯანყებას ახდენენ ჩვენი მთავრობის და რესპუბლიკის დასასამარებლად. ასეთ დროს საჭიროა განსაკუთრებული ზომები რევოლიუციის დასაცავად, ეს არამც თუ არ ეწინააღმდეგება ჩვენს პრინციპებს, პირდაპირ გამომდინარეობს ჩვენს პრინციპებიდან.

სოციალ-დემოკრატიული პარტია ერთიანად სდგა იმ ნიადაგზე, რომელიც დაიცვა შინაგან საქმეთა მინისტრმა.

დღიდ დღეობით ასეთი დემოკრატიული პრინციპის გატარება იქნება შერყეული ხალხის უმრავლესობის განმტკიცებისა და ჩვენი ქვეყნის დაშნაკიზებისა. ჩვენის თქმით, თუ ყოველ შემთხვევაში კომისრის არჩევნების დროს თვით კუთხეს გადამწყვეტი ხმა მივეცით, მაშინ ცენტრს ადარ ექნება საშუალება ებრძოლოს იმ უმცირესობას. რომელიც იბრძვის ხალხის უმრავლესობის ნების განმტკიცების წინააღმდეგ. დღეს ისეთი მდგომარეობაა, რომ სოფლად ადვილად შეუძლია რამდენიმე პროვოკატორს შეუგნებელი გლეხობა აიყოლიოს და ამით დემოკრატიულ წესწყობილებას სასიკეთოდ მახვილი ჩასცეს. უწევთ ბატონებო. ამას ანგარიშს თუ არა! თუ ვანყენებულ მოუდგებოდეთ პრინციპებს ანაცვალებთ ხალხის უმრავლესობის სურვილებს?

დღეს საჭიროა განსაკუთრებული ზომები, თუ რომ გვინდა თავიდან ავიცილოთ ყოველივე აჯანყება, ყოველი კონტრრევოლიუციური გამოსვლა ხალხის მტრების მიერ გადარეულ გლეხებისა. ნუ თუ დღეს კიდევ გვონიათ რომ შეიძლება განყენებულ პრინციპებით, სულგრძელობა, კონკრეტიულ პრინციპებს ხასელმძღვანელოდ გახდომა? ასე მოქცევა ფიქტიურად დამფუძველ გზაზე დადგომა იქნება. ჩვენ სავსებით ვიხარებთ, როგორც უკვე აღვნიშნე, შინაგან საქმეთა მინისტრის იმ შეხედულებას, რომ რევოლიუციის დასაცავად უნდა მოვიგეროთ ხალხის მტრები, უმცირესობის ნება სურვილი უნდა დაუშორჩილოთ უმრავლესობის ნებას.

მეორე კითხვა, რომელმაც გამოიწვია კამათი ეს არის კანდიდატების წამოყენება. სამი კანდიდატი თუ ერთი კანდიდატი? ეს არის ტეხნიკური საშუალება. „ჩვენ მოვითხოვთ მხოლოთ, რომ მთავრობს უფლება ჰქონდეს მიიღოს ან არ მიიღოს სოფლის უმცირესობის მიერ არჩეული კანდიდატი. ეს არავითარი დემოკრატიული პრინციპების შელახვა არ არის, ვინაიდან მთავრობა ეყრდნობა ეროვნულ საბჭოს ახალი მთავრობა და ეროვნული საბჭო ეყრდნობა ხალხის უარავლესობის ნებას.

რა თქმა უნდა მთავრობას აქვს უფლება ჩაერიოს არჩევნებში, მაგრამ კონტროლის უფლება აქვს არა მარტო პარლამენტს, თუ მთავრობა დაარღვევს დემოკრატიის სუფთავლებს, დემოკრატიას აქვს საშუალება ეს არ შეიწყნაროს. მეორე მხრივ დემოკრატიას აქვს საშუალება მოუფიო არჩეული კანდიდატი არ მიღოს. ამისათვის საჭიროა რომ მთავრობას ჰქონდეს კანდიდატის დამტკიცების უფლება. რომ გამოსწოროს ხალხის მიერ გადადგმული შეცდარი ნაბიჯი.

რაც შეეხება ტეხნიკურ საკითხს თუ რამდენი კანდიდატი უნდა იქმნეს წარდგენილი 3-თუ 1- მე უნდა მოვახსენოთ, ვემხრობი ერთ კანდიდატს, თუ კი მთავრობას უფლება აქვს მიიღოს ან და არ მიიღოს ესა თუ ის კანდიდატი იმ შემთხვევაში თუ შეიტყობს რომ წარდგენილი კანდიდატი დემოკრატიის მტრების გავლენით არის არჩეული - მაშინ საჭირო არ არის 3 კანდიდატის არჩევა ერთიც საკმაოა ტეხნიკურ საკითხში ტეხნიკურ დასაბუთებით შეგვიძლიან გამოვიდეთ, ამ შემთხვევაში კი ერთი კანდიდატის არჩევა უფრო ხელსაყრელია. ეს ეს საშუალება უფრო მიმაჩნიამიზან შეწონილად.

ჩვენ ვერ ურჩევთ ჩვენს მთავრობას გადადგას ისეთი ნაბიჯი, რომელიც გამოიწვევს ეროვნებრობას და ანარქიას.

თ ავ მ ჯ დ ო მ ა რ ე. სიტყვა ეკუთვნის მოსხენებელს.

კ. ს ა ბ ა ხ ტ ა რ ა შ ვ ი ლ ი. როდესაც კომისიამ მიიღო ეს მუხლი, იგი ხელმძღვანელობდა ორ გარემოებით, მუხლი არის დროებითი, მას სურს არეული ცხოვრების შესცვალოს, და დაამყაროს ის წესრიგი, რომლის შესახებაც ლაპარაკობდა სოციალისტ-რევოლიუციონერთა წარმომადგენელი ფაჩუაშვილი. დღეს დღეობით ამ მუხლის უარყოფა ყოველად შეუძლებელია, რადგან სოფლად სასურველი მდგომარეობა არ დამყარებულა.

ასეთ პირობებში ცენტრს საშუალება უნდა ჰქონდეს კანტროლი გაუწიოს; (ხმები: ეროპას მიეცდოს) იმ მოსაზრებით, რომ მალე ეროპა იქნება შემოღებული, და თავის თავად ცხადია ეს პუნქტი მის ხელში იქნება, ჩვენ,— დავეთანხმდით რომ ეს პუნქტი იქნეს დროებითი. რაც შეეხება კანდიდატების წამოყენებას: იყოს 3 თუ 1—ჩემის აზრით არ არის მართალი, როდესაც საბჭოს წევრი წერილის მხარს უჭერს 1 კანდიდატის არჩევას. თუ პროვოკაციას გავლენა აქვს სოფელად, უმცირესობას შეუძლიან თავის აზრი მოახვიოს უმრავლესობას არჩევნების დროს, მაშინ საჭიროა 3 კანდიდატის არჩევა, ეს ტეხნიკური საშუალება უფრო ხელსაყრელი იქნება მაზრის კომისარისათვის. ხოლო ის მოსაზრება, რომ ეს მუხლი ამოშლილი იქმნას რაც წარმოადგენა საბჭოს წევრმა ფაჩუაშვილმა მე არ მიმაჩნია შესაძლებლად.

თ ავ მ ჯ დ ო მ ა რ ე. კენჭს უყრი წინადადებას. ვინ არის წინააღმდეგი, რომ მე 6-ე მუხლი დარჩეს. (წინააღმდეგნი არიან ესენები).

ახლა გადავდივარ კანდიდატების რიცხვის გამორკვევაზე. სიტყვა ეკუთვნის საბჭოს წევრს კირიელ ნინიძეს.

კ. ნ ი ნ ი ძ ე. (ს.დ.) მე მგონია რომ ცოტაა ჩვენში სოფლის კარგათ მცოდნე.

საქმე ისაა, რომ 3 კანდიდატის არჩევა, ეს ტეხნიკური საშუალება არ არის სოფლების ასე კანდიდატების არჩევა მეტად გაუჭირდებათ. მაგრამ აქ უმთავრესად საჭიროა ის, თუ უნდა ეკუთვნოდეს „ვეტო“-ს უფლება. უნდა იყოს ერთი მთავრობა, გამგეობა რომ შესაფერი წესრიგი დაამყაროს სოფლად. ამაე მოსაზრებით სოფლის კომისრის დამტკიცების უფლება უნდა ჰქონდესსამაზრო კომისარს. რაც შეეხება კანდიდატების რიცხვს, მე წინადადება შემომაქვს, რომ სამაზრო კომისარს ერთი კანდიდატი წარუდგინონ და არა სამი.

თ ავ მ ჯ დ ო მ ა რ ე. რას იტყვიან ამის შესახებ მომხსენებელი.

ს ა ბ ა ხ ტ ა რ ა შ ვ ი ლ ი. ჯერ უკვე გამოვსთქვეთ ჩვენი აზრი, რომ ამ შემთხვევისთვის სამი კანდიდატი იყოს უკეთესი. (ხმები მარცხნივ: რეგლამენტის დარღვევის გამო.)

თ ავ მ ჯ დ ო მ ა რ ე. რეგლამენტის დარღვევის გამო.

ი ო. წ ე რ ე თ ე ლ ი. ჯერ სავრთო მსჯელობაა. ჩემ მგონი არ გადავსულვართ მუხლობ-

*) იხილე „საქართველოს რესპუბლიკა“ № 11.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რივ განხილვაზე. ამ შემთხვევაში რეგლამენტი დარღვეულია.

(ხმები: როგორ არ გადასულვართ მუხლობრივ განხილვაზე).

თავმჯდომარე. უნდა მოგახსენოთ, რომ ჩვენ დიდი ხანია გადავედით მუხლობრივ განხილვაზე და ამ შემთხვევაში თვით წერეთელმა დაარღვია წესრიგი (სიცილი). კენჭს უყრი საბჭოს წევრის კირილე ნინოშის მიერ შემოტანილ წინადადებას. ვინ არის იმის მომხრე რომ იერიოდეს ერთი კანდიდატი? ვინ არის წინააღმდეგი? მაშასადამე სამის მაგივ[illegible] რრება ერთი კანდიდატი, უკაცრაოდ მე ბოდიშს მოვიხდი. რატომ და იმიტომ, [illegible] მარ[illegible]ლაც დავარღვევ რეგლამენტი. ის რომ კანდიდატი იქნება ერთი და არა სამი ეს სულ სხვა საკითხია. მე უნდა დამყენებინა საკითხი: რრება თუ არა ის მუხლი, რომლითაც განსაკუთრებულ შემთხვევებში გუბერნიის კომისარი თვით ნიშნავს სოფლის კომისარს. ამ დებულების წინააღმდეგ არავის საწინააღმდეგო არა უთქვამს რა. მაშასადამე ეს ზარი რრება. მაშასადამე ეს დებულებაც დაკანონებულია.

ეხლა გთხოვთ წაიკითხოთ მეშვიდე მუხლი.

საბახტარაშვილი (კითხულობს მეშვიდე მუხლს).

თავმჯდომარე. ვინ არის მომხრე? ვინ არის წინააღმდეგი? მაშასადამე მეშვიდე მუხლი მიღებულია.

საბახტარაშვილი (კითხულობს მერვე მუხლს).

თავმჯდომარე. ვინ არის მომხრე? ვინ არის წინააღმდეგი. მუხლი მიღებულია.

საბახტარაშვილი (კითხულობს მეცხრე მუხლს).

თავმჯდომარე. ვინ ნებავს სიტყვა ამ მეცხრე მუხლის შესახებ? ვინ არის წინააღმდეგი მუხლი მიღებულია. ეხლა ჩვენ გვაქვს აქ შტატები. კეთილ ინებეთ და წაიკითხეთ ეს შტატები.

საბახტარაშვილი (კითხულობს მილიციის შტატებს).

თავმჯდომარე. ვინ არის წინააღმდეგი? არავინ? მაშასადამე კანონ-პროექტი მიღებულია და გადაეცემა სარედაქციო კომისიას. წინადადებაა კრება გადადგეს.

კენჭს უყრი წინადადებას, ვინ არის მომხრე. კრება გადადებულია.

პრესის მიმოხილვა.

სომხური გაზეთი „აშხატაორი" მოწოდებულ წერილში (№ 100) ეხება ამიერ-კავკასიის დამოუკიდებელ რესპუბლიკებს და სწერს შემდეგს:

ჩვენ თავიდანვე იმ აზრისა ვიყავით, რომ კავკასიის ერთობის დარღვევა და დამოუკიდებელ რესპუბლიკებად დაყოფა დამარცხებაა ამიერ-კავკასიის რევოლუციონური დემოკრატიისა. ადრებეიჯანის, საქართველოს და ჰაიასტანის დამოუკიდებლობის გამოცხადებაში ვხედავდით ზემო ჩამოთვლილ მშრომელი ხალხის საერთო სოციალისტურ და პოლიტიკურ იდეალების დამსხვრევას.

თუმცა ეხლა მომხდარ ფაქტს წინაშე[illegible]ვდგავართ, მაინც ჩვენი სურვილია, რომ ამ სამმა ნორჩმა რესპუბლიკამ იმისთანა საგარეო და საშინაო პირობები შეჰქმნან და ისეთი პოლიტიკა აწარმოონ, რომ შესაძლებელი ყოფილიყოს თითოეული მაგალის ყველა რევოლუციონური მონაპოვარის შენარჩუნება. ჩვენ ჩვენი კრიტიკით და რევოლუციონური მოქმედებით უნდა მივისწრაფეთ[illegible] ოდეთ[illegible]ოდეთ[illegible] [illegible]ოდ[illegible] [illegible]ოდ[illegible] [illegible]ოდ

National Library of Georgia

რამდენად იტალია ამისათვის ბაზას იძლეოდა. ამნაირად ინტალიამ ამ მსოფლიო ომში, ცენტრალურ სახელმწიფოთათვის საზარალო როლი ითამაშა, რითაც დრო გამოშვებით მათთვის მდგომარეობა სამძიმო ხდებოდა. ეს მომავალში არ უნდა იქმნას დავიწყებული.

გენ ფონ-ბრანდენშტეინის დეპეშა.

ფონ-ბრანდენშტეინ ატყობინებს გარეშე საქმეთა სამინისტროს, რომ მან დეპეშით გადასცა სახელმწიფო კანცლერს ბერლინში საქართველოს მთავრობის დადგენილება ზოგიერთ სამინისტროებში გერმანელ მრჩეველთა დანიშვნის შესახებ.

ახალი ამბები.

○ სახალხო სკოლების მასწავლებელთა უმწეო მდგომარეობა. სახალხო განათლების მინისტრმა დეპეშები მიიღო გურიის რაიონის მასწავლებელთაგან, რომელნიც მოახსენებენ რა მინასტრს თავის ტანჯვა-გაჭირვებას ჯამაგრების მიუღებლობის შესახებ, სთხოვენ სასწრაფო დახმარებას, რათა მიეცეთ მათ თვბერვლის, მარტის, იანისის და ივლისის ჯამაგრები. ანალოგიური შინაარსის დეპეშა მიიღო მინისტრმა ოზურგეთის მასწავლებელთა კავშირისაგან. მინისტრმა თავის მხრივ შუამდგომლობა აღძრა ფინანსთა მინისტრის წინაშე, რომ დააკმაყოფილოს აღნიშნული მასწავლებელნი, და ადგენს ცალკე მოხსენებას საზოგადოდ მასწავლებელთა უმწეო მდგომარეობის შესახებ მთავრობასა და ეროვნულ საბჭოში წარსადგენად.

○ მიღიციის უფროსის დადგენილებით ეზოებისა და სავაჭრო დაწესებულებათა უსუფთაოდ შენახვისათვის დაჯარიმებულ იქმნენ 500 მან: თაგართქლაძე, ვერზელოველაკ, კობიაშვილი, კუსმინი და საავიკი. თუ ფულის გადახდას ვერ შესძლებენ 1 თვით ციხეში ჩასვამენ. სამას მანეთით: ხაჩრაშვილი, განჯუმოვი, გომართელი, ისაროვი და ადამოვი. ათას მანეთით: კიკნაძე და საპიკი. თუ ჯარიმას არ გადაიხდიან 2 თვით ციხეში ჩასხდებიან. ლორების უბეჭდოთ გაყიდვისათვის მოხელეთა კოოპერატივის თავჯდომარე დ. გაბრიჩიძე 500 მანეთით თითო ან 1 თვე ციხით.

○ როგორც ბაკურიანიდან იუწყებიან, ამ წლის 29 ივლისს თბილისის ყაჩაღებს საზღვარი გადმოულახავთ და უკრაინელების, ვეგარად ბანდურებს, და მიქაბერძიის ცხერის ფარეხიდან 470 სული მეწველი ცხვარი წაუსხამთ. ტყვეთ წაუყვანიათ აგრეთვე სამი ქართველი მწყემსი.

○ თბილისის ქართვ. ვაჭარ-მრეწველთა კავშირმა იკისრა დაარსოს საქართველოს სავაჭრო სამრეწველო პალატა. შეადგინა მისი წესდება და აგრეთვე საარჩევნო ინსტრუქცია, რომელიც მთავრობამ უკვე დაამტკიცა. ამ ჟამად კავშირი აღგენს ვაჭარ-მრეწველთა სიებს და ახლო ხანში მოიწვევს მთელ საქართველოს ვაჭარ-მრეწველთა ყრილობას, რომელმაც უნდა დააფუძნოს პალატა და აირჩიოს მისი კომიტეტი.

○ ამხანაგობა „შაქრის“ საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა ივ. ვარაზაშვილი, წევრებად ალ. ჯაბადარი, რაფ. დათეშიძე და ნიკ. გაბაშვილი. ახლო მომავალში კომიტეტს აზრად აქვს შაქრის ქარხლის მოსაყვანად გამოსადეგი ადგილების მიღება ბორჩალოში და საქარხლო მოწყობილების ყიდვა უკრაინაში. ამავე საზოგადოებას განზრახვა აქვს დაარსოს 2 სააქციო საზოგადოება: 1) თუთუნის ქარხნისა და 2) ყოველ გვარ საქონლის საწყობებისა, რომელიც შეეიკვანიან პირობებით მოაწოდებს საქონელს ჩვენს წვრილ ვაჭრებს.

○ საქართველოს საკათალიკოსო საბჭომ დაადგინა ნათა შემოღებულ იქმნას საქართველოს რესპუბლიკის საეკლესიო და საქმეკლაქო ცხოვრებაში ახალი სტილი.

○ სახელმწიფო ბანკის დაწესებულებათა ლიკვიდაციის შესახებ მთავრობამ დაადგინა, მოხდეს თანდათანობით და სრულიად თანახმად საქართველოს რესპუბლიკის საერთო საალიკვიდაციო კანონისა იმ განსხვავებით, რომ შტატ გარეშე დარჩენილ მოსამსახურეებს მიეცეს საალიკვიდაციო თანხა ნაღდ ფულად.

○ სასურსათო სამინისტრომ კერძო პირებთან ხელშეკრულება დასდო კვკავიდან 50 ათასი ფუთი ხორბლის შემოსატანად.

○ საადგილ-მამულო ფონდში ტფ. გუბერნიიდან მიღებულ იქმნა 2058 დესეტინა მიწა.

○ ხმები ისმის შესახებ, რომ ფინანსთა მინისტთა მრჩეველად დაინიშნა თურქესტანის კონსული ბოუნგარტი სიმპათლეს მოკლებული, ვინაიდან გერმანიას იქ კონსული არა ჰყავს და დელეგაციაშიაც არ შედის ასეთი გვარის ვინმე.

○ ხოლერა. უკანასკნელ დღეს ქალაქის საავადმყოფოში მოიყვანეს 10 ხოლერიანი და 11 ხოლერის ნიშნებით. მორჩა 10. გარდაიცვალა 9 ხოლერიანი და ერთი ხოლერის ნიშნებით. 7 აგვისტოსათვის იყო 127 ხოლერიანი და 37 ხოლერის ნიშნებით.

○ ქართველი ტყვეები. საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის საგარეო სამინისტროს თბილისში მყოფი გერმანიის სამხედრო მისია ოფიციალურად ატყობინებს, რომ გერმანიაში ტყვეთ მყოფი 50 ოფიცერი და 200 ჯარის კაცი გერმანიის მთავრობამ საქართველოსკენ გამოამგზავრა.

○ საქართ. რესპუბლიკის ჯარების სამხედრო სასამმოროლოს საჯარო სხდომა გაიხსნება ხვალ 10 საათზე ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით.

◆ კონიაშვილის დ. ჯუღელის რაზმები ჩამოვიდნენ. ახალგორის ოპერაციები ბრწინვალედ დამთავრდა.

○ ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტრომ აუცილებელ საქონლად იცნო ფოთის ნავთსადგურის გაღრმავება. ნავთ-სადგურს ამ ჟამად 17 ფუტი სიღრმე აქვს. ისეთ ნაირად უნდა გაღრმავდეს ნავთ-სადგური, რომ საოკეანო ხომალდებს შეეძლოთ ცურვა. ამ ჟამად საქართველოს რესპუბლიკას ჰყავს ხომალდები „ბიბეილი“, „დობროვოლსკი“ და „ვილოლტა“.

○ მილიციის უფროსმა დაამტკიცა პოროუჩიკი აფხაზეთის პოლკისა შლატტერი, რომელსაც ყალბი დოკუმენტები აღმოაჩნდა.

ამონაწერი

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის დადგენილება

დაეკალოს განათლების სამინისტროს შეიმუშაოს სხვა ქართულ გიმნაზიების დაარსებისა თბილისში, ამასთანავე დაეკალოს მასვე შეიმუშაოს გეგმა ცალკე გიმნაზიის დაარსების შესახებ რუსთა და სომეხთათვის, იმ პირობით, რომ უპირატესობა უკანასკნელ გიმნაზიებში მიეცეს ახალმოწაფეების მიღების დროს საქართველოს ქვეშმორდომთა შვილებს.

—

გაეხსნას გზათა მინისტრს 10 მილიონიან ფონდიდან 450. 000 მან კრედიტი მთავარ სახელოსნოთა საჭიროებისათვის, აგრეთვე მიეცეს მასვე უფლება გაყიდოს გერმანელებზე ან და საჯარო ვაჭრობით ათასი ცალი შინა თანახმად მოხსენებისა იმ პირობით, რომ აღებული ფულით შეესებულ იქმნას მის განკარგულებაში მთავარ სახელოსნოთათვის გახსნილი კრედიტი.

—

გაეხსნას სამხედრო მინისტრს გერმანიიდან და ოსმალეთიდან ჩამოსულ სამხედრო ტყვეების საჭიროებისათვის ათ მილიონიან ფონდიდან ორმოც-და-ათი-ათისა მანეთი.

—

მიეცეს დაჭირილთა კომიტეტს მოსამსახურეთა დასაკმაყოფილებად 36. 145 მან. 43 კაპ. ათ მილიონნიანი ფონდიდან. ამასთანავე წინადადება მიეცეს ყველა დაწესებულებებს ფულის მიცემა აწარმოონ კანონის განსაზღვრულ წესით. დაინიშნოს დაჭირილთა კომიტეტის კასსიდან 36. 145 მან. 43 კაპ. გატაცების შესახებ გამოძიება მოეთხოვოს პასუხი მომარაგების კომიტეტს ხოლო იმ პირთ, რომელნიც სამართალში იქნებიან მიცემულნი დაეკისროთ პირად ქონებრივი პასუხის მგებლობაც ხაზინის მიერ ნახულ ზარალისათვის.

—

დაინიშნოს რესპუბლიკათა შორის საალიკვიდაციო კომისიის თავმჯდომარედ ალ. მ ე დ ი ვ ა ნ ი.

ფოსტა-ტელეგრაფის ნაციონალიზაცია.

მთავრობისაგან უკვე გამოგზავდა, რომ საქართველოს რესპუბლიკაში ფოსტა-ტელეგრაფის დაწესებულებების ეკონომიკურ ერთეულად, დეპეშები და ფულეკგვარი კორესპონდენციები ქართულ ენაზედ დაწერილი მიიღონ. ხოლო თბილისში, სოხუმისა და ნაქალაქევის ოდქებში და ბორჩალოს მაზრაში ნება დართულია ჯერ-ჯერობით რუსულად დაწერილიც მიიღონ სანამ ადგილ ეფეწყვეს ამ ახალს წესს.

როდესაც ბრძოლისაგან დასუსტებულმა საქართველომ ძველი რუსეთის დახმარება სთხოვა, რუსეთმა ისარგებლა ამ შეშფოთებით და საქართველოს უბრალო საკუთარნი ბრალინტაგან კარდაკარ. მაშინ არსებული ქართული შაურ-ბოურა მოსდო და დაადგინა რუსულ ენაზედ.

ამ ას-ოცდაშვიდ წლის განმავლობაში ქართველი ხალხი ძალუნებურად შეეჩვია ამ კარგ-შოებას.

ამიტომ დღეკანდელი ახალი წესები, რასაკვირველია, ჩვენს შინაურ მტრებს ეარაფრად ეკუნშნეკა და ეურ-ხაური გაბოიწეა.

რასაკ დღეს ჩვენი საქართველო თავისუფალ რესპუბლიკად არის გამოცხადებული და ეკუქეს ჩვენი საკუთარი ენაც ოფიციალურ ენა და დატერატურა, მაშასადამე, მმართველობა კიდევ ბევრ ამ გვარ განკარგულებას გამოსცემს და ჩვენმა მტერ-მოყურეებმა რომელი ერთი უნდა აწერინონ ანა ამათ ხრ იტიან, რომ უველა სახელმწიფოში და რესპუბლიკაში ოფიციალური მიწერ-მოწერა სწარმოებს ხახელმწიფო ენაზე?

მაგალითად ინგლისში მიწერ-მოწერა სწარმოებს ინგლისურად, გერმანიაში—გერმანულად, საფრანგეთში—ფრანგულად, რუსეთში—რუსულად და სხვა. მხოლოდ საქართველოსო ანანაგად უველგან მიღებულია რომელი ენე იგი დასაბეჭდი ანბანი.

ამასთანავე საქართველოს მთავრობამ განსაკუთრებული ეურადღება გამოიჩინა ეეეჩვეველ ხალხისადმი და ნება დართო თბილისში, სოხუმისა და ზაქათალის ოდქებში და ბორჩალოს მაზრაში მიწერ-მოწერა იეოს ჯერ-ჯერობით რუსულ ენაზედაც. შემდეგში კი ეეკეა ორ ენის, რომ მოელს საქართველოში შემოღებული იქნება სახელმწიფოებრივი ენა.

ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეთა კომისიამ გაარჩია ჩვენ მიერ წარდგენილი სადეპეშო ანბანის ნიშნები, შეადგა რუსულს, დასინურდა სპარსულს და მეიოლეს შესწორების შემდეგ წარდგენა მთავრობის, რომელმაც უკვე ბრძანება გამოსცა, რომ ამ ანბანით ახალ-მძღვანელობ დეპეშების გადაცემის დროს.

ისევ შედგენილი სადეპეშო ასოები დანიშნები რომ ამის იქით ქართული დეპეშა ვინც უნდა გადასცეს, რუსი იქნება იგი, სომეხი თუ გერმანელი, თუნდ სიტყვების მნიშვნელობაც რომ არ იცოდეს, დეპეშას მაინც შეუცდომლივ დასწერს.

დაბრკოლება, რომელნაც შეიძლებოდ, თავიდან აშორებულია და ახლა მოხელეებზედ არის დამოკიდებული, რომ თავის სიტყვს ეურადღებით მოაქცნენ.*

მ. იანქოშვილი.

. მართლმადიდებელ ქრისტიანი ქართველების შესახებ.

ერთი უბედური ზნე დაგვიტოვა თვითმპყრობელმა რუსეთმა: სატყეა ქართველი გადაეკიცა მართლმადიდებლობის სინონიმად და ასეთი ზნის დამკვიდრებას დიდი ენების მოტანა შეუძლია ზეენთვის როგორც ეროვნულად, ისე სახელმწიფოებრივად. საბედნიეროდ მთავრობის წრეებში ისე, როგორც ინტელიგენციაში ასეთ ზეხედულებას არაეითარი ნიადაგი არა აქვს, ვინაიდან ნათლადა აქეთ წარმოდგენილი არა მართლ მადიდებელ ქართველთა ეროვნული, ისტორიული, ეთნოგრაფიული და ანთროპოლოგიური ვინაობა. ამას ექეს გარეშეა საგრძნობლად შეეწყო ხელი თვით არა მართლ მადიდებელ ქრისტიან ქართველთა მოწინავე კაცების მუშაობამ. სამწუხაროდ მასსა დღესაც ვერ გარკვეულა ამ კითხვაში და ქართველობას ხშირად ურევს მართლმადიდებლობასთან, როგორც სარწმუნოებრივ მენგბას.

მათი დაპირისპირება კი ყოველად შეუწყნარებელია, როგორც მეცნიერულად, ისე პოლიტიკურადაც. რამდენადაც სარწმუნოება განყენებული, აბსტრაქტული ცნებაა, იმდენად ეროვნება, კონკრეტული, ხორცშესხმული ცნებაა არის და მათი ერთიმეორეში არეეა პრაქტიკულად ცუდ ნაყოფს გამოიღებს.

ეს გაუგებრობა უნდა გაიფანტოს.

ქართველი ერისათვის არასოდეს არ დასმულა კითხვა სარწმუნოებრივ ჩაჩრჩობში. მისთვის ერთნაირად ქართველია ყველა ოჯახული მღიარებელი ქართველი: მართლმადიდებელიც, კათოლიკეც, ისლაელიც, მუსულმანიც და სხვ. ყველა ესენი ერთი ოჯახის—საქართველოს შვილები არიან.

აქედან გამომდინარეობს ის, რომ სახელმწიფოებრივ აღმშენებლობის პროცესში ქართველი ერის ეს განეყოფელი ნაწილი არა მართლმადიდებელი ქართველები არ დარჩეს უმოქმედოთ და ხომები იქნას მიღებული, რათა მათი შემოქმედმა ძალებმა ჩვენთან ერთად ააშენონ და ააყვავონ ნორჩი, დემოკრატიული და თავისუფალი საქართველო.

აი ეხლა ჩვენი მთავრობა ახალ ნიადაგზე აგებს ნორჩ რესპუბლიკას და თვისი მოქმედების უახლოეს მიზნად დაწესებულებათა გასახელმწიფოებრივობა, ნაციონალიზაცია აქვს დასახული. ამიტომ ქართული ენის მცოდნე პირები უაღრეს საჭიროებას წარმოადგენენ. ასეთები არც თუ ისე მცირენი არიან? არა მართლმადიდებელ ქართველთა შორის და მათი ცოდნითა და გამოცდილებით სარგებლობა საჭირო და აუცილებელია.

საჭიროა ჩვენმა სახელმწიფომ, საზოგადო თუ კერძო დაწესებულებებმა მათ ყურადღება მიაქციონ, და მეტის მეტი სიფრთხილით მოეკიდნენ მათ საკითხს.

საქართველოსათვის ყველა მოქალაქე, განურჩევლად სარწმუნოებისა დაროვნებისა თანასწორია და თავისუფალია. ერთად მუშაობა, ერთი მიზანისთვის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის განმტკიცებისათვისაა ჩვენი მიზანი.

პროვინცია.

ჭიათურის ამბები. საჩხერის რაიონიდან სიმღერით ჩამოვიდენ მობილიზაციით მიღებული 300-დე ახალგაზდა, რომლებიც წავიდნენ ქ. ზესტაფონში; საუკბოოთ იკავებენ წესიერებას, მიუხედავად იმისა რომ რიცხვი ორასამდე იყენენ.

ბაზარში სიმინდის ფასმა 45 მანეთამდე დაიწია, მოელიან კიდევ ფასის დაკლებას.

სანოვაგის ფასები: მჭადი ფურნეში გამომცხვარი გირვანქა-1 მან. 50 კაპ. კვერცხი 40 კაპ. ხორცი გირ. 2 მან. კარტოფილი 30 მან. ფუთი, ყველი 5 მან. გირ. ლობიო 20 მან. ბათმანი და მარილი 12 მ. ფ.

10 აგვისტოს ადგილობრივ საკრებულოში გაიმართება ადგ. სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის სასარგებლოთ საღამო. ქალაქის კომისრათ დაინიშნა მოქ. მოდებაძე, კომისარ ბაქრაძის ადგილზე, რომელიც გადაყვანილ იქმნა ქუთაისში, მაზრის კომისრათ.

წერილი რედაქციის მიმართ.

„საქართველოს რესპუბლიკის“ მე 11 №-ში ეროვნულ საბჭოს ანგარიშში ჩემი პირველი სიტყვა შეცდომით არის დაბეჭდილი: „თუ ცვერ შეეძლებთ დამტკიცებით მის თქმას, რომ ეს ოლქი (იგულისხმება ზაქათალის ოლქი. რ. ი.) სადაო არ არის და ჩვენ დაგვრჩება. მე კი განვაცხადე შემდეგი: „თუმცა მდგომარეობა ისეთია, რომ ამ ჟამად ჩვენ ფაქტიურად ვერ შევეძლებთ ზაქათლის ოლქში განეახორციელოთ ეს რეფორმა“.. და სხვ.*)

ხსენებულ სიტყვის რამოდენმე დღის წინ ეროვნულ საბჭოში მე შევიტანე შეკითხვა მთავრობისადმი საინგილოში შექმნილ მდგომარეობის შესახებ და, სხვათა შორის, აღვნიშნავდი, რომ, „როგორც საინგილო, აგრეთვე მთელი ზაქათლის ოლქი არის საქართველოს განუყოფელი ნაწილი. წარმოუდგენელია, რომ ორ-სამ დღეში რადიკალურად შემეცვალა აზრი და ოლქი საადგილ გამომეცხადებინა, ან და ექვი შემპაროდა მის საქართველოს საზღვრებში დარჩენაზე.

ეროვნულ საბჭოს წევრი რაფიელ ივანიკეა. 7 მარიამობისთვე.

*) ეროვნულ საბჭოს ანგარიშს ჩვენ პირდაპირ და შეუცვლელად ვიღებთ საბჭოს ოქმებიდან. რედ.

ბ ა ნ ც ხ ა ბ ე ბ ე ბ ი

ვანო ხოზოშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა საფული 70 მანეთით, გასაღები, პირობის მოწმობა ქვეშა ბალის საზოგადოების სამმართველოდან მიღებული. მნახველი სთხოვს მიუტანოს. ფიდი ვანის ქუჩა № 3. (3—2)

ხონის მომრიგებელი უბნის გამგე 1233 და 1241 მუხ. ძალით ექვსი თვის ვადაში იწვევს გარდაცვალებულ ლეკან მოსეს ძე კაკაბაძის მემკვიდრეებს, რათა მათ აღიარონ თავისი უფლება კაკაბაძის მამულზე.

ვლადიმერ თედორის ძე კლემენტიევი აცხადებს, რომ მან დაკარგა ხელწერილი № 50514, მიღებული სახელმწიფო ბანკის თბილისის კონტორიდან 17 აგვისტოს 1915 წელს, რომ მას ენახება მისი სარგებლიანი ქაღალდი პირველი მომგებიანი სესხისა № 00 649 13.

ირსენ ისაკის ძე მელიკ-გაიკაზიანი აცხადებს, რომ მან დაკარგა ნასყიდობის სიგელი, მიღებული მემკვიდრეობით ბაბარე ოსების ასულის გაიკაზიანის სახელზე თბილისის საოლქო სასამართლოს უფროსი ნატარიუსისგან 16 ნოემბერს 1906 წ. იმ მიწაზე, რომელიც იმყოფება მე-12 ბანაში № 61.

მარიამ მელიოს ასული გოგოხია აცხადებს, რომ მან დაკარგა ქუთაისის ეპარქიალურ სასწავლებლში კუოსის დამთავრების მოწმობა № 3[illegible].

ტარამბა საქართველოს მთავრობისა.

რედაქტორი პ. დ. საყვარელიძე.